



საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

აკრედიტაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შესახებ
(„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“
შესაბამისობის დადგენის პროცესი).

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში
განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო
პროგრამებისთვის

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

„აუდიოვიზუალური ხელოვნება“, საბაკალავრო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი

22 აპრილი 2026 წელი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი.....	9
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	11
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.....	18
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	22
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....	24
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	30

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი- ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245628496
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ნიკურაძე (თავმჯდომარე); ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო გელოვანი(წევრი), თსუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	აუდიოვიზუალური ხელოვნება
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Audiovisual art
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	აუდიოვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი. კვალიფიკაცია შეესაბამება VI დონეს.
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება, 0211
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	არ ითვალისწინებს მასწავლებლის კვალიფიკაციის მინიჭებას.
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული (08.10.2019, N 190).
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	პროგრამაზე (კონცენტრაციის მითითებით) ჩაირიცხებიან პირები, რომლებმაც გაიარეს შემოქმედებითი ტური და ერთიანი ეროვნული გამოცდები. პირები, რომელთაც კანონით მინიჭებული აქვთ უფლება ჩაირიცხონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, გადიან მხოლოდ შემოქმედებით ტურს.
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო	

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

წინამდებარე დასკვნა მომზადებულია სსიპ – ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის „აუდიოვიზუალური ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში. მონიტორინგის მიზანია, აკრედიტაციის სტანდარტების გამოყენებით, საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადგენა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ განსაზღვრულ მოთხოვნებთან. დასკვნაში შეფასებულია ის კომპონენტები, რომლებიც უკავშირდება აღნიშნული შესაბამისობის დადგენის პროცესს.

„აუდიოვიზუალური ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს 240 ECTS კრედიტიან პროგრამას, რომელიც ორიენტირებულია კინორეჟისურისა და ტელერეჟისურის მიმართულებებით პროფესიული და შემოქმედებითი კომპეტენციების განვითარებაზე. პროგრამა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს და მიზნად ისახავს ისეთი კურსდამთავრებულის მომზადებას, რომელიც ფლობს სფეროს საფუძვლებს, შემოქმედებით-ტექნიკურ უნარებს, დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობის შესაძლებლობას და პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით საქმიანობის უნარს. პროგრამა შეესაბამება აუდიოვიზუალური მეთოდებისა და მედიაპროდუქცია/წარმოების დეტალურ სფეროს და ბაკალავრიატის საფეხურის მოთხოვნებს.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

არაგეგმიური მონიტორინგი განხორციელდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე. აკრედიტაციის ვიზიტი არ განხორციელებულა.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „აუდიოვიზუალური ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ძირითადად, შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები მეტწილად ნათლად არის ჩამოყალიბებული და უკავშირდება პროგრამის შინაარსს, სტრუქტურასა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამა აგებულია თანმიმდევრული პრინციპით და უზრუნველყოფს სტუდენტთა თეორიული ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ხოლო სწავლება-სწავლის მეთოდები და შეფასების სისტემა, მთლიანობაში, ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევაზე.

ამასთან, შეფასების პროცესში გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომლებიც კვლავ საჭიროებს გაუმჯობესებას, მათ შორის: სასწავლო კურსების სილაბუსებში თემატური და შედეგობრივი გადაფარვების შემცირება, სალექციო და პრაქტიკული კომპონენტების უფრო მკაფიო გამოჯენა, თანამედროვე დარგობრივი ლიტერატურის განახლება, ცალკეული კურსების შინაარსობრივი დაზუსტება და პროგრამის აკადემიური და კვლევითი კომპონენტის გაძლიერება.

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განმარტებები, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც ეხება ცალკეული კურსის სახელწოდების კორექტირებასა

და რიგი სასწავლო კურსების განახლების პროცესის დაწყებას. თუმცა, წარმოდგენილი პოზიცია უმეტესად ეფუძნება სამომავლო ქმედებების აღწერას და არ ახლავს ყველა იმ ცვლილების სრულყოფილი დოკუმენტური დადასტურება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა რეკომენდაციების არსებითი ნაწილის მოხსნას. შესაბამისად, პროგრამა მთლიანობაში კვლავ შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაში მყოფი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

1. რეკომენდირებულია უსდ-მ დამატებით გადახედოს კურსებს შორის შესაძლო შინაარსობრივ და შედეგობრივ გადაფარვას, რათა პროგრამის სტრუქტურაში ერთი და იმავე სწავლის შედეგის მიღწევა რამდენიმე კურსში ზედმეტად არ განმეორდეს.
2. რეკომენდირებულია, უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები უფრო მკაფიოდ, სისტემურად და დოკუმენტურად ასახოს, რათა ნათლად გამოიკვეთოს კავშირი შეფასების შედეგებს, ანალიზს, მიღებულ გადაწყვეტილებებსა და კონკრეტულ პროგრამულ ცვლილებებს შორის.
3. რეკომენდირებულია, უსდ-მ გააგრძელოს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის ჰარმონიზაცია კურსებს შორის თანმიმდევრობის, თემატური კავშირის, შინაარსობრივი გადაფარვების შემცირებისა და პროგრამის პროფილის უფრო მკაფიო გამოკვეთის მიმართულებით. ასევე, რეკომენდირებულია, ცალკეულ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებები სრულად აისახოს პროგრამის დოკუმენტურ კომპლექტში.
4. რეკომენდირებულია სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვა ისე, რომ სხვადასხვა კურსებში სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა არ დუბლირდებოდეს.
5. რეკომენდირებულია სილაბუსებში უფრო მკაფიოდ გაიმიჯნოს სალექციო და პრაქტიკული თემები და, საჭიროებისამებრ, აისახოს ძირითადი პრაქტიკული აუდიოვიზუალური რესურსები ან რესურსთა ტიპები.
6. რეკომენდირებულია სილაბუსებში გამოყენებული ლიტერატურის განახლება კინოსა და ტელევიზიის თანამედროვე თეორიებისა და პრაქტიკის შესაბამისი უახლესი წყაროებით.
7. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „ტელევიზიის წარმოების საფუძვლები“ შინაარსობრივი კორექტირება ისე, რომ კურსის თემატიკა, აქტივობები და შეფასების კომპონენტები სრულად პასუხობდეს მის მიზნებსა და სწავლის შედეგებს.
8. რეკომენდირებულია გადაიხედოს და დაიხვეწოს „კინო-ტელე დრამატურგიის“ სილაბუსი; დაზუსტდეს თემატიკა და დაემატოს შესაბამისი სპეციალიზებული სასწავლო რესურსები.
9. რეკომენდირებულია მომავალში უზრუნველყოფილ იქნეს მინიმუმ ერთი დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის ჩართულობა უშუალოდ აუდიოვიზუალური ხელოვნების დარგში, რათა გაძლიერდეს პროგრამის აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო კომპონენტი.

10. რეკომენდირებულია გაძლიერდეს პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი აქტივობა და უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დარგობრივი კვლევითი კომპონენტი.

▪ რჩევები

1. სასურველია სწავლის შედეგების რუკაში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს ისეთი პრაქტიკული აქტივობები, როგორიცაა ფილმების ჩვენება, რეპეტიციები და მასტერკლასები, როგორც სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტები.
2. სასურველია სტუდენტებისთვის დამატებითი აქტივობების მხარდაჭერა, მათ შორის დარგის სპეციალისტების მასტერკლასები, უცხოელი პროფესიონალების ჩართულობა, საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა და კოლაბორაციული პროექტები.
3. შესაძლებლობის ფარგლებში, სასურველია გაიზარდოს საერთაშორისო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
4. სასურველია სილაბუსებში გაიზარდოს პრაქტიკული პროექტებისა და სტუდენტური პროდუქტების ანალიზის ინტეგრაცია, როგორც სწავლების შედეგების მიღწევის მხარდამჭერი ელემენტი.
5. სასურველია, შემოქმედებითი ტურის საკითხები და შეფასების ძირითადი კრიტერიუმები უფრო სრულად განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს პროცედურების გამჭვირვალობა და საჯაროობა.
6. სასურველია, განხილულ იქნეს ელექტრონული განაცხადისა და ნამუშევრების ატვირთვის სისტემის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს პროცესის მონიტორინგს და ორგანიზებას.
7. სასურველია, აბიტურიენტებს მიეწოდოთ უფრო დეტალური ინფორმაცია ტურის პროცედურისა და შეფასების წესების შესახებ.
8. შესაძლებლობის ფარგლებში, სასურველია მოეწყოს საკონსულტაციო შეხვედრები, რომლებიც დაეხმარება აბიტურიენტებს შემოქმედებითი ტურისთვის მომზადებაში.
9. სასურველია გაგრძელდეს სტუდენტთა მონაწილეობა მასტერკლასებში, ერთობლივ პროექტებსა და სხვა პრაქტიკულ შემოქმედებით აქტივობებში, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ტრანსფერულ და პროფესიულ უნარებს.
10. სასურველია პრაქტიკულ კომპონენტებში კიდევ უფრო გაძლიერდეს სტუდენტზე ორიენტირებული პროექტული და კოლაბორაციული მუშაობის ფორმატები.
11. სასურველია შესაძლებლობის ფარგლებში გაგრძელდეს უცხოელი პროფესიონალების ჩართულობა ვორქშოპებისა და მასტერკლასების ფორმატით.
12. სასურველია გაგრძელდეს და კიდევ უფრო გაღრმავდეს თანამშრომლობა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტთან და სხვა პროფილურ პარტნიორ ინსტიტუტებთან.
13. შესაძლებელია ნაწილი კურსების მოდულური სინქრონიზაცია და პროგრამის შესაბამისობაში მოყვანა პარტნიორი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა გამოცდილების გაზიარებას და საერთაშორისო პრაქტიკის ჩართვას.

- საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:

- **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;
- **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;
- **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);
- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;
- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁴**
- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განმარტებები, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც ეხება ცალკეული კურსის სახელწოდების კორექტირებასა და რიგი სასწავლო კურსების განახლების პროცესის დაწყებას. თუმცა, წარმოდგენილი პოზიცია უმეტესად ეფუძნება სამომავლო ქმედებების აღწერას და არ ახლავს ყველა იმ ცვლილების სრულყოფილი დოკუმენტური დადასტურება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა რეკომენდაციების არსებითი ნაწილის მოხსნას. შესაბამისად, პროგრამა მთლიანობაში კვლავ შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაში მყოფი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.
- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

⁴ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	მეტწილად შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	მეტწილად შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტების შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი
3.	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	აირჩიეთ შესაბამისი
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	აირჩიეთ შესაბამისი
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	აირჩიეთ შესაბამისი
4.1	ადამიანური რესურსი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2	მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	აირჩიეთ შესაბამისი
4.4	მატერიალური რესურსი	აირჩიეთ შესაბამისი
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	აირჩიეთ შესაბამისი
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	აირჩიეთ შესაბამისი
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი
5.2	გარე ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე
შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს მეტწილად ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამისა და თანდართული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ „აუდიოვიზუალური ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს, სწავლის სფეროს თავისებურებებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამა ორიენტირებულია კინორეჟისურისა და ტელერეჟისურის მიმართულებებით ისეთი კურსდამთავრებულის მომზადებაზე, რომელიც ფლობს აუდიოვიზუალური ხელოვნების თეორიულ საფუძვლებს, შემოქმედებით-პრაქტიკულ უნარებს, პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენციებს და მოქმედებს პროფესიული ეთიკისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პრინციპების შესაბამისად.

პროგრამის მიზნები, მთლიანობაში, ნათლად ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და შეესაბამება პროგრამის შინაარსს, სტრუქტურასა და აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროს მოთხოვნებს. შესაბამისად, კომპონენტი შეფასებულია როგორც მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა;
- პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები;

- სასწავლო გეგმა;
- კურსების სილაბუსები;
- პროგრამის შესახებ უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია.

რეკომენდაციები

არ არის.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის.

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<u>1.1 პროგრამის მიზნები</u>	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის (კინორეჟისურა, ტელერეჟისურა) სილაბუსებისა და სწავლის შედეგების რუკის მიხედვით, თითოეული სასწავლო კურსი/მოდული მიმართულია ცალკეული კომპეტენციების — ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის — განვითარებაზე.

სპეციალობის ძირითადი კურსები, როგორც კინორეჟისორის ოსტატობა, ტელერეჟისორის ოსტატობა, კინომონტაჟი, პროდიუსინგი და სტუდიური პრაქტიკა, უზრუნველყოფს როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული უნარების განვითარებას.

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები, მათ შორის ინგლისური ენა, აკადემიური წერა და კომპიუტერული პროგრამები, ხელს უწყობს ზოგადი კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რაც აუცილებელია პროფესიული საქმიანობისათვის.

აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული სწავლის შედეგები ნათლად ასახავს ბლუმის ტაქსონომიის სხვადასხვა დონეს — ცოდნას, გაგებას, უნარს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. შედეგები ეტაპობრივია და ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული: პროგრამის საწყის ეტაპზე სტუდენტი იღებს საბაზისო ცოდნას, შემდგომ კურსებზე ხდება ცოდნის გაღრმავება და პრაქტიკული უნარების განვითარება, ხოლო დასკვნით ეტაპზე სტუდენტი დამოუკიდებლად ახორციელებს შემოქმედებით პროექტებს, იცავს პროფესიულ ეთიკას და ინტელექტუალური საკუთრების პრინციპებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კურსების სილაბუსები და კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მექანიზმები;
- პრაქტიკული საქმიანობის აღწერა (სტუდიური პრაქტიკა, პროდიუსინგი, კინორეჟისორის ოსტატობა);
- აკადემიური პერსონალის პასუხისმგებლობებისა და ფუნქციების განაწილება;
- პროგრამის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია;
- <https://batu.edu.ge/sub-15/program/2/index.html>

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდებით. პირდაპირი შეფასება მოიცავს სტუდენტთა აკადემიური მიღწევების შეფასებას გამოცდების, პრაქტიკული დავალებების, სტუდიური პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის საშუალებით. არაპირდაპირი შეფასება ეფუძნება სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვებს, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი.

რეკომენდაციები

1. რეკომენდირებულია უსდ-მ დამატებით გადახედოს კურსებს შორის შესაძლო შინაარსობრივ და შედეგობრივ გადაფარვას, რათა პროგრამის სტრუქტურაში ერთი და იმავე სწავლის შედეგის მიღწევა რამდენიმე კურსში ზედმეტად არ განმეორდეს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია სწავლის შედეგების რუკაში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს ისეთი პრაქტიკული აქტივობები, როგორიცაა ფილმების ჩვენება, რეპეტიციები და მასტერკლასები, როგორც სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტები.

2. სასურველია სტუდენტებისთვის დამატებითი აქტივობების მხარდაჭერა, მათ შორის დარგის სპეციალისტების მასტერკლასები, უცხოელი პროფესიონალების ჩართულობა, საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა და კოლაბორაციული პროექტები.
3. შესაძლებლობის ფარგლებში, სასურველია გაიზარდოს საერთაშორისო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<u>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</u>	მეტწილად შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მექანიზმები. პირდაპირი შეფასება მოიცავს სტუდენტთა აკადემიური მიღწევების შეფასებას გამოცდების, პრაქტიკული დავალებების, სტუდიური პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის საშუალებით, ხოლო არაპირდაპირი შეფასება ეფუძნება სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვებს. აღნიშნული მექანიზმები, მთლიანობაში, ქმნის საფუძველს სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხის განსაზღვრისა და პროგრამის გაუმჯობესებისთვის საჭირო ინფორმაციის მიღებისათვის.

ამასთან, კომპონენტის სრულ შესაბამისობას ზღუდავს ის გარემოება, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად არ იკვეთება, როგორ გარდაიქმნება შეფასების ანალიზის შედეგები კონკრეტულ პროგრამულ ცვლილებებად. უსდ-ის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია მიუთითებს, რომ მიმდინარეობს ცალკეული კურსების, სწავლის შედეგებისა და სილაბუსების კორექტირება, რაც ნაწილობრივ ადასტურებს შეფასების შედეგებზე რეაგირებას, თუმცა აღნიშნული კავშირის უფრო მკაფიო დოკუმენტირება კვლავ საჭიროა. შესაბამისად, კომპონენტი შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაში მყოფი მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების აღწერა;
- კურსების სილაბუსები;
- პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების ინსტრუმენტები;

- პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებული შიდა დოკუმენტები.

რეკომენდაციები

1. რეკომენდირებულია, უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები უფრო მკაფიოდ, სისტემურად და დოკუმენტურად ასახოს, რათა ნათლად გამოიკვეთოს კავშირი შეფასების შედეგებს, ანალიზს, მიღებულ გადაწყვეტილებებსა და კონკრეტულ პროგრამულ ცვლილებებს შორის.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სტრუქტურა, მთლიანობაში, აგებულია ლოგიკური თანმიმდევრობით და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ პროგრამა ორიენტირებულია აუდიოვიზუალური ხელოვნების მიმართულებით ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე და, არსებითად, უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო გეგმა და პროგრამის შინაარსი, ძირითადად, შესაბამისობაშია პროგრამის პროფილთან და ბაკალავრიატის საფეხურის მოთხოვნებთან.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის შინაარსობრივ არქიტექტურაში კვლავ რჩება რიგი საკითხები, რომლებიც დამატებით დახვეწას საჭიროებს. ეს ეხება, ერთი მხრივ, ცალკეული კურსების რეალური შინაარსისა და მათი ადგილის სრულ თანხვედრას პროგრამის საერთო სტრუქტურასთან, ხოლო, მეორე მხრივ, თემატური თანმიმდევრობისა და შინაარსობრივი გადაფარვების მინიმუზაციას.

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია ადასტურებს, რომ ცალკეულ სასწავლო კურსებთან მიმართებით მიმდინარეობს კორექტირება, მათ შორის კურსის სახელწოდების დაზუსტება და შინაარსობრივი განახლება, თუმცა აღნიშნული ცვლილებები მთლიანად და საბოლოო სახით ჯერ არ არის წარმოდგენილი შეფასებული პროგრამის სრულ დოკუმენტურ კომპლექტში. შესაბამისად, კომპონენტი შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაში მყოფი მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა;
- სასწავლო გეგმა;
- კურსების სილაბუსები;
- პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის ამსახველი დოკუმენტაცია;
- უსდ-ის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

რეკომენდაციები

1. რეკომენდირებულია, უსდ-მ გააგრძელოს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის ჰარმონიზაცია კურსებს შორის თანმიმდევრობის, თემატური კავშირის, შინაარსობრივი გადაფარვების შემცირებისა და პროგრამის პროფილის უფრო მკაფიო გამოკვეთის მიმართულებით. ასევე, რეკომენდირებულია, ცალკეულ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებები სრულად აისახოს პროგრამის დოკუმენტურ კომპლექტში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი, მთლიანობაში, მიმართულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისკენ და მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს. სპეციალობის ძირითადი კურსები ქმნის დარგობრივი კომპეტენციების განვითარების საფუძველს და, არსებითად, შეესაბამება პროგრამის პროფილსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა, ძირითადად, ადეკვატურია მათში განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.

ამასთან, სილაბუსების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენს კურსების სრულ თანხვედრაზე პროგრამის სწავლის შედეგებთან. კერძოდ, ცალკეულ სილაბუსებში იკვეთებოდა ლიტერატურის დუბლირება, სალექციო და პრაქტიკული თემების არასაკმარისად მკაფიო გამოჯგნა, პრაქტიკული რესურსების არასისტემური ასახვა, ასევე თანამედროვე და სპეციალიზებული ლიტერატურის დამატებითი საჭიროება. გარდა ამისა, სასწავლო კურსი „ტელევიზიის წარმოების საფუძვლები“ საჭიროებს შინაარსობრივ დაზუსტებას, ხოლო „კინო-ტელე დრამატურგიის“ სილაბუსს სჭირდება თემატური და ლიტერატურული განახლება. უსდ-ის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, მიმდინარეობს ახალი ლიტერატურის შეტანა, რიდერების შემუშავება და ცალკეული კურსების კორექტირება; ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულს დადებითად აფასებს, თუმცა მიიჩნევს, რომ ეს გარემოებები რეკომენდაციების მოხსნის საკმარის საფუძველს ჯერ არ ქმნის. შესაბამისად, კომპონენტი შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაში მყოფი მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კურსების სილაბუსები;
- სასწავლო გეგმა;
- პროგრამის სწავლის შედეგები და კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის შინაარსის ამსახველი დოკუმენტაცია;
- უსდ-ის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

რეკომენდაციები

